

2014

ბიბლიოთეკა

ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

წლიური ანგარიში

12/9/2014



წარმოგიდგენთ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის 2014 წლის
ანგარიშს

2014 წელი ბიბლიოთეკისათვის მეტად დატვირთული იყო მნიშვნელოვანი
სიახლეებით.

❖ eprints ილიაუნის აკადემიური ელ.საცავი

წლის დასაწყისში, ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის
ერთობლივმა პროექტმა - eprints ილიაუნის აკადემიური ელ.საცავი, დაიწყო
ფუნქციონირება.

რა არის - eprints ? ეს გახლავთ ინსტიტუციური ელექტრონული საცავი, რომლის
საშუალებითაც შესაძლებელია შეიქმნას აკადემიური პორტფოლიო/პროფაილი რაც
გულისხმობს ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად მომზადებულ
სხვადასხვა სახის პუბლიკაციებისა და კვლევითი მასალების ერთ სივრცეში
განთავსებას. ორგანიზებულ საცავში eprints.iliauni.edu.ge ავტორი თავად ათავსებს
სამეცნიერო პუბლიკაციის მეტამონაცემებს/გამოცემის სრულ ტექსტს ან აბსტრაქტს,
რომელიც რეპოზიტორში განთავსებისთანავე ხელმისაწვდომი ხდება
მაძიებლისათვის. ელექტრონული კატალოგის მეშვეობით შესაძლებელია საცავში.
დღეისათვის eprints-ში 140-ზე მეტი ავტორის მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის 1170
ერთეულია განთავსებული.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ eprints-ის საშუალებით ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი ერთადერთია საქართველოში, ვინც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს
მსგავსი აკადემიური საცავს სთავაზობს.

❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციაში
დაცული 2004 წელს იუნესკოს მოსკოვის ოფისის პროექტით შექმნილი ქართული
ლიტერატურის ციფრული კოლექციის პოპულარულ ციფრულ ფორმატებში
გადაყვანისა და ნორმალიზაციის პროექტი.

2014 წელს კიდევ ერთი ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო ბიბლიოთეკამ და
საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა. ეს გახლავთ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექციაში დაცული 2004 წელს იუნესკოს
მოსკოვის ოფისის პროექტით შექმნილი ქართული ლიტერატურის ციფრული კოლექციის
პოპულარულ ციფრულ ფორმატებში გადაყვანისა და ნორმალიზაციის პროექტი.

აღნიშნული პროექტი საშუალებას მისცემს ნებისმიერ მსურველს კოლექციაში დაცული ლიტერატურული ნაწარმოებებს გაეცნოს და მათზე იმუშაოს სხვადასხვა სახის თანამედროვე საკითხავ მოწყობილობებში (მაგ: Kindle, Nook , Android და ა.შ.).

ამ დროისთვის ჩატარებულია შემდეგო მოცულობის სამუშაო:

- შექმნილია 93 ერთეული ელექტრონული წიგნი, ePUB-ფორმატში. წიგნები დახარისხებულია ავტორების მიხედვით და შეიცავს საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების კრებულებს;
- ბიბლიოთეკა მოიცავს პერიოდს V საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის ჩათვლით. მხოლოდ იმ საჯარო დოკუმენტებს, რომლებზეც საავტორო უფლებების გავრცელება შეწყვეტილია;
- დაწყებულია უკვე შექმნილი ელ. წიგნების ტექნიკური დამუშავება, მათი სხვა ფორმატებში გადაყვანის მიზნით;

პროექტის ფარგლებში დარჩენილია შემდეგი სამუშაოები:

- ქართული ლიტერატურის ციფრული კოლექციის გრაფიკული დიზაინის შემუშავება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული ციფრული წიგნების პოპულარულ ციფრულ ფორმატებში გადაყვანა და ნორმალიზაცია;

შესაძლო სამუშაოთა სია, რომელიც მესამე ეტაპზე შესაძლოა იყოს შესრულებული:

- XX საუკუნის ავტორების ნაწარმოებების ციფრული კოლექციის შექმნა საავტორო უფლებების მატარებელ პირებთან/ორგანიზაციებთან ოფიციალური შეთანხმების შემდგომ.

❖ ბიბლიოთეკის ახალი ვებგვერდი

2014 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ახალი ვებ-გვერდის შექმნა, რომელიც უფრო მეტად მოქნილი და მარტივად გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისთვის. საიტის დამზადებას უზრუნველყოფს ილიაუნის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. პარალელურად შეიქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჩვენი ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების გაუმჯობესებულ საცავს.

❖ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2014 წელს სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზსა და ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის ნაწილში.

ასევე მოეწყო ახალი სამკითხველო დარბაზი, რომელიც მკითხველს მიიღებს 2015 წლიდან და მოემსახურება ერთდროულად 60 ადამიანს.

❖ „ლიტოთახი ლიგამუსში“

2014 წლის 14 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დაემატა ახალი დარბაზი - „ლიტერატურის ოთახი ლიგამუსში“, რომელიც კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის მიმართულების, 2100 დასახელების წიგნით აღიჭურვა.

დარბაზში მოეწყო ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბას“, 2003 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საუკეთესო წიგნებისა და ავტორების მიერ გამოცემული ყველა ნომინირებული და გამარჯვებული ლიტერატურული ნაწარმოების კუთხე.

ლიტერატურის ოთახის მიზანია, სტუდენტებისთვის კომფორტული სამკითხველო გარემოს შექმნა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სერვისებზე (ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათშორისი შეკვეთა; დაჯავშნა; სამეცნიერო სტატიების მოძიება) ხელმისაწვდომობა. აღნიშნული სერვისებით ერთი თვის განმავლობაში უკვე ისარგებლა ათასამდე სტუდენტმა.

ბიბლიოთეკის მკითხველთა ხარისხიანი მომსახურების მიზნით დაიწყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ანოტირება და ეს პროცესი მიმდინარეობს ლიტერატურის ოთახის დარბაზშიც. ყოველდღიურად იწერება ანოტაციები მხატვრული ლიტერატურის, სტატიისა თუ პუბლიკაციის შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 2014 წლის ივნისში განიცადა სტრუქტურული ცვლილება, რის შედეგადაც მას შემოუერთდა წიგნის მაღაზია. შესაბამისად, ბიბლიოთეკის ანგარიშში წარმოდგენილია მისი ოთხივე განყოფილების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

➤ მომსახურების განყოფილება

I. ბიბლიოთეკის სერვისებზე მკითხველთა მოთხოვნა

2014 წლის 5 იანვრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სხვადასხვა სერვისზე (ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათშორისი შეკვეთა; შეეკითხე ბიბლიოთეკარს, ამობეჭდვა; დაჯავშნა; სამეცნიერო სტატიების მოძიება, ელ. ბაზების ტრენინგები) მონაცემთა შეგროვება მიზნად ისახავდა,

მკითხველის მიერ მათზე მოთხოვნის რაოდენობისა დადგენას და აქტიურად მოთხოვნილი ლიტერატურის განსაზღვრას.

წიგნის ელექტრონული შეკვეთა - ელექტრონული შეკვეთის სერვისზე წარმოდგენილი მონაცემი ეყრდნობა მკითხველის მიერ ელექტრონულად შევსებულ ფორმას, რომელიც აისახება ელექტრონულ ბაზის შემდეგი მონაცემებში: მკითხველის სახელი და გვარი, სტატუსი ელ. ფოსტა, ტელეფონი, წიგნის ავტორი, სათაური, შეკვეთის ადგილი (დარბაზი, საიდანაც სურს მკითხველს წიგნის გატანა).

აღნიშნულ პერიოდში ელექტრონულ შეკვეთაში შემოსულია 2355 მოთხოვნა, საიდანაც,

- ✓ 1005 წიგნი აღმოჩნდა სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში
- ✓ 912 - ილია ჭავჭავაძის დარბაზში
- ✓ 225 - ივ. ბერიტაშვილისა და კვლევით დარბაზში
- ✓ 329 მოთხოვნიდან 104 ლიტოთახში (მონაცემი აღებულია 10.11.14- 10.12.14 შუალედში)
- ✓ 734 ელექტრონულად მოძიებული მასალიდან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის დააცვით, მკითხველისთვის შეთავაზებულ იქნა 648 დასახელების ელ. ვერსია.

2355 ელექტრონულად შემოსული შეკვეთიდან,

- ✓ 278 გაცემებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლის მიერ.
- ✓ 2040 - სტუდენტის მიერ
- ✓ 37 - გარეშე პირის მიერ.

საბიბლიოთეკო ერთეულების ცირკულაცია - 2014 წელს (05.01 – 10.12) საბიბლიოთეკო ერთეულების ცირკულაციაში მონაწილეობა მიიღო 4656-მა ერთეულმა, საიდანაც,

სულხან-საბა ორბელიანის დარბაზიდან

- ✓ ბაკალავრიატის სტუდენტებზე გაცემულია - 1748 ერთეული
- ✓ მაგისტრატურის - 272
- ✓ აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებზე - 168

ილია ჭავჭავაძის დარბაზიდან

- ✓ ბაკალავრიატის სტუდენტებზე გაცემულია - 978 ერთეული
- ✓ მაგისტრატურის - 144
- ✓ აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებზე - 417

ბერიტაშვილისა და კვლევითი დარბაზებიდან

- ✓ ბაკალავრიატის სტუდენტებზე გაცემულია - 122 ერთეული

- ✓ მაგისტრატურის - 104
- ✓ აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებზე - 187

ლიტოთახიდან

- ✓ ბაკალავრიატის სტუდენტებზე გაცემულია - 467 ერთეული
- ✓ მაგისტრატურის - 34
- ✓ აკადემიურ პერსონალსა და თანამშრომლებზე - 15

ბიბლიოთეკათშორისი სერვისი - ზემოთ აღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკათშორისი სერვისის ფარგლებში შემოსულია 438 შეკვეთა, აქედან,

- ✓ 374 დასახელების ეგზემპლარი მოტანილია მკითხველისთვის
- ✓ 21 წიგნი არ აღმოჩნდა არცერთი პარტნიორი ბიბლიოთეკის კოლექციაში
- ✓ 43 დასახელების ერთეული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელუხლებელი ფონდშია, რის გამოც ვერ მოხერხდა მათით სარგებლობა.

შეეკითხე ბიბლიოთეკარს - librarian@iliauni.edu.ge - “შეეკითხე ბიბლიოთეკარს“ სერვისის ფარგლებში შემოსულია 951 შემდეგი კატეგორიის წერილი : ლიტერატურაზე მოთხოვნა, გატანილ წიგნზე ვადის გადადება სხვადასხვა საკითხები (მაგ: ბაზებთან დაკავშირებული პრობლემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სხვ.)

ელექტრონული ბაზების ტრენინგები - სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან (უნივერსიტეტის თანამშრომლები (მათ შორის ბიბლიოთეკის); სტუდენტები, როგორც დოქტორანტები და მაგისტრანტები, ასევე, ბაკალავრები; არაქართულენოვანი სექტორის სტუდენტები და სხვ.) ელექტრონულ ბაზების მიმართულებით ჩატარდა 15 ტრენინგი.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ; ასევე, მონაწილეთათვის სასურველი ინფორმაციის მოძიების უნარების გამომუშავებას;

ჯგუფური მუშაობის დარბაზის დაჯავშნა - ჯგუფური მუშაობის დარბაზით (მის: გიორგი წერეთლის ქ.#3, 5 კორპუსი, ოთახი 902), რომლის გამოყენებაც შეუძლიათ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე, ისარგებლა 128-მა ჯგუფმა.

(აღნიშნული სერვისის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე- <http://library.iliauni.edu.ge>, მომსახურების განყოფილებაში)

ონლაინ შეკვეთების ამობეჭდვა - წინასწარ, ონლაინ შეკვეთის საფუძველზე ამობეჭდვის სერვისით ისარგებლა 134-მა მკითხველმა.

(აღნიშნული სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე -

<http://library.iliauni.edu.ge>, მომსახურების განყოფილებაში)

II. ღონისძიებები

1. პროფესორ-მასწავლებელთა წიგნების გამოფენა - 2014 წლის 7 მაისს ილიაუნის ბიბლიოთეკამ "საბიბლიოთეკო კვირეული 2014"-ის ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გამოცემული ნაშრომებისა და თარგმნილი ლიტერატურის გამოფენა მოაწყო. წარმოდგენილ იქნა ილიაუნის 34 პროფესორის მიერ მოწოდებული 162 დასახელების სხვადასხვა მიმართულების გამოცემა.

პროფესორებს გადაეცათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მადლობის სიგელი საბიბლიოთეკო კვირეულში მონაწილეობისა და წიგნიერების ამაღლების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ამ ღონისძიებით ილიაუნის ბიბლიოთეკა შეუერთდა წიგნიერების წელს, რომლის მთავარი მიზანაც არის წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა და წიგნის როლის გააქტიურება საზოგადოებაში.

2. ბიბლიოთეკის კვირეულის დახურვა - 2014 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა, სადაც ჩვენ საკუთარი ბიბლიოთეკის მინი-მოდელი წარუდგინეთ საზოგადოებას.

დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ადგილზე გასცნობოდა როგორც მისთვის საინტერესო თანამედროვე და უახლეს ლიტერატურას, ასევე მოეძია სხვადასხვა მიმართულების ელექტრონული სამეცნიერო სტატიები და წიგნები.

3. წიგნის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი - 2014 წლის 29 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით გაიმართა თბილისის წიგნის XVI საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მეხუთედ მიიღო მონაწილეობა და დამთვალიერებელს სხვადასხვა მიმართულების უახლესი სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურა შესთავაზა. წარმოდგენილი იყო შემდეგი მიმართულებები: მედია-მეცნიერებები, ფილოსოფია და ფსიქოლოგია, რელიგია, სოციალური მეცნიერებები, ლინგვისტიკა, საბუნებისმეტყველო, მათემატიკა, გამოყენებითი მეცნიერებები, ხელოვნება, მხატვრული ლიტერატურა, გეოგრაფია და ისტორია.

გარდა ბეჭდური გამოცემებისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ბიბლიოთეკამ საზოგადოებას გააცნო საკუთარი ელექტრონული რესურსები. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, ადგილზე ენახა და პრაქტიკაში გამოეცადა ელექტრონული ბაზების, კატალოგებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის

მოხმარების ძირითადი ინსტრუმენტები, მოეძია მისთვის საინტერესო წიგნები და პერიოდული გამოცემები.

4. ევროპის კულტურის კვირეული - 2014 წლის 26-28 სექტემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო ევროპული კულტურის კვირეულში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპული ფასეულობების წარმოჩენა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს საშუალებით საზოგადოებისთვის გაზიარება.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა ევროპული ლიტერატურის გამოფენა, აღნიშნულ თემატიკაზე მოეწყო კინოჩვენებები და თეატრალური დადგმები, გაიმართა დისკუსიები და ა.შ.

ილიაუნის ბიბლიოთეკის საგამოფენო კუთხეში წარმოდგენილი იყო ევროპული მწერლებისა და პოეტების როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალის ენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებები. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ადგილზე გასცნობოდა ლიტერატურას და გამოეხატა საკუთარი აზრი და დამოკიდებულება მათ შესახებ.

III. პროფესიული განვითარება

1. ტრენინგები ახალი თანამშრომლებისთვის - ტრენინგები, რომლებიც 2013 წელს, ახლად აყვანილ 2 თანამშრომელს ჩაუტარდა ბიბლიოთეკის საქმიანობის ექვსი სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა: 1. ბიბლიოთეკის სერვისები 2. ელექტრონული კატალოგი -<http://library.iliauni.edu.ge/opac.html>; 3. ელექტრონული ბიბლიოთეკა - <http://library.iliauni.edu.ge/ilib/> 4. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება 5. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციები; 6. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები.

1. ბიბლიოთეკის სერვისები

ტრენინგი მიზნად ისახავდა, ილიაუნის ბიბლიოთეკის სერვისებისა და სარგებლობის წესების გაცნობას.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ბიბლიოთეკის დარბაზები და სამუშაო განრიგი; წიგნის ელექტრონული შეკვეთა; ბიბლიოთეკათმორისი მომსახურება; დაჯავშნის სერვისი; შეკითხვა ბიბლიოთეკარს; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და პროცედურები.

2. ელექტრონული კატალოგი

ტრენინგი მიზნად ისახავდა ელექტრონული კატალოგის სპეციფიკისა და მოხმარების წესების გაცნობას, მისი პრაქტიკაში გამოყენებას.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ელექტრონული კატალოგის დანიშნულება; მარტივი და დეტალური საძიებელი ინსტრუმენტები, კატალოგიდან

მიღებული ინფორმაციით ღია დაშვების ბიბლიოთეკაში ძიების უნარ-ჩვევები (პრაქტიკული სავარჯიშოები)

3. ილიაუნის ელექტრონული ბიბლიოთეკა

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ილიაუნის ელექტრონული ბიბლიოთეკის შესახებ და მასში განთავსებული ინფორმაციისა ძიება-გამოყენებას პრაქტიკაში

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ელექტრონული წიგნები; საკითხავები („რიდერები“; ელექტრონულ რესურსზე წვდომა, ინფორმაციის ძიება ელ. საცავებში.

4. ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება

ტრენინგი მიზნად ისახავდა ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებას საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები; კომუნიკაციის დამოკიდებულებითი საფუძვლები; მომხმარებლის დაკარგვის სამი კატეგორია;

მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების კომპეტენციები.

5. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციები

ტრენინგი მიზნად ისახავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებული საბიბლიოთეკო კლასიფიკაციების გაცნობას წიგნების გადარჩევა-დახარისხებისა და კლასიფიკაციის მიხედვით დალაგების მიზნით.

ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: კლასიფიკაციის არსი და ფუნქციები; კლასიფიკაციის სახეები და მათი უპირატესობები; დიუის ათწილადი კლასიფიკაცია

6. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ინფორმირებას ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ; სამეცნიერო ელექტრონული ბაზების საძიებო ინსტრუმენტების ათვისებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

2. ანოტაციების გზამკვლევის შემუშავება - ბიბლიოთეკის მომსახურებისა და კატალოგიზაციის განყოფილების ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონულ კატალოგში შეტანილი ლიტერატურისთვის ანოტაციების მომზადებას, ასევე თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

- ✓ შემუშავდა ანოტაციის გზამკვლევი
- ✓ მომსახურების განყოფილების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი
- ✓ მომზადდა ანოტაციის საცდელი ვერსიები

პროექტი დაიწყო 2014 წლის 24 ნოემბერს. ამ ეტაპისთვის დამუშავების პროცესშია 27 ანოტაცია.

IV. ილიაუნის სტუდენტების სტაჟირება ბიბლიოთეკაში.

2014 წელს 1 სექტემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟირება გაიარა ორმა სტუდენტმა. 1 დეკემბრიდან კი, სტაჟირებას გადის 2 სტუდენტი.

სტაჟირება მიზნად ისახავს:

- ✓ სტუდენტების ჩართულობას საბიბლიოთეკო საქმიანობაში;
- ✓ ბიბლიოთეკის შიდა სამუშაოების სპეციფიკის გაცნობასა და მასში მონაწილეობის მიღებას;
- ✓ გუნდურობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.

სტუდენტების მიერ შესასრულებელ ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

- ✓ მკითხველებთან ურთიერთობის პროცესში თანამშრომელთა დახმარება;
- ✓ საბიბლიოთეკო ფონდების გადაადგილებაში მონაწილეობა;
- ✓ საბიბლიოთეკო ერთეულების აღწერა და ელექტრონიზაცია;
- ✓ საბიბლიოთეკო მედიების ტექნიკური დამუშავება;
- ✓ ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა.

სტაჟირების პროცესი განხორციელდა სამ ეტაპად: I. საინფორმაციო შეხვედრა; II. ტრენინგები ბიბლიოთეკის ძირითადი საქმიანობის შესახებ; III. ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილების სამუშაო პროცესში მონაწილეობა.

V. ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაცია

2014 წლის დეკემბერში (01.12-05.12) ილიაუნის ბიბლიოთეკამ და ამავე უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიების სამსახურმა შეიმუშავეს ერთობლივი პროექტის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ცირკულაციის პროცესების ავტომატიზაციას.

აღნიშნული პროექტის შედეგად, შესაძლებელი გახდება ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მიერ გატანილი და დაბრუნებული საბიბლიოთეკო ერთეულების პროგრამული დამუშავება, მკითხველის ისტორიის შენახვა, ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და ყველა დარბაზის თანამშრომლისთვის მისი ხილვადობის უზრუნველყოფა.

პროგრამის დანერგვა იგეგმება 2015 წლის დასაწყისში.

➤ საბიბლიოთეკო ფონდების მენეჯმენტის განყოფილება

2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდების მენეჯმენტის განყოფილებამ რამდენიმე ძირითადი მიმართულებით იმუშავა უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ქვემოთ მოცემულია ბიბლიოთეკის 2014 წლის ის მიმართულებები და აქტივობები, რომლებმაც ხელი შეუწვევს ბიბლიოთეკის განვითარებას, საუნივერსიტეტო საზოგადოებას სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის გაღრმავებას.

1. კოლექციების განვითარება საინფორმაციო რესურსის შესყიდვა

2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ საინფორმაციო რესურსის შესყიდვის მიზნით სხვადასხვა ტიპის შესყიდვა განახორციელა. ბიბლიოთეკამ წიგნების არჩევისას იხელმძღვანელა უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხელმძღვანელებისა და პროფესორ-მასწავლებლების წარდგინებისა და სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე სასწავლო და კვლევითი ლიტერატურის საჭიროებიდან გამომდინარე. დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა როგორც ბიბლიოთეკის, ასევე ცალკეული ფაკულტეტის/ფაკულტეტების, უნივერსიტეტის ინსტიტუტების/ცენტრების ბიუჯეტი, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ფულადი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები.

1.1. **გრანტი** - 2014 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან მიღებული 7 გრანტის ფარგლებში შეისყიდა 150 დასახელების 150 ერთეული საინფორმაციო რესურსი, რომელთა ღირებულება შეადგენს **13327.39** ლარს.

გრანტების საერთო ღირებულება შეადგენს: 13327.39 ლარს.

1.2. **სუბსიდია** - უნივერსიტეტის **სუბსიდიის** ფარგლებში ფილოსოფიის ინსტიტუტისთვის 2014 წელს გამოიყო **14672** ლარის ოდენობის თანხა სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საინფორმაციო რესურსის შესყიდვის მიზნით. შესყიდვის პროცესი მიმდინარეობს და დაგეგმილია 2014 წლის ბოლომდე **14672** ლარის ღირებულების 146 დასახელების 146 ერთეული წიგნის მოწოდება.

სუბსიდიის საერთო ღირებულება შეადგენს: 14672 ლარს.

1.3. **ბიუჯეტი** - უნივერსიტეტის **ბიუჯეტის** ფარგლებში 2014 წელს ბიბლიოთეკამ შეისყიდა 617 დასახელების 709 ერთეული **17347.87** ლარის ღირებულების წიგნი.

ბიუჯეტის საერთო ღირებულება შეადგენს: 17347.87 ლარს.

1.4. **ტენდერი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის #871 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის“ (პროგრამული კოდი

32 04 01) ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების #09-1/61/83/#285-30.12.2013 საფუძველზე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ბიბლიოთეკის განვითარების მიზნით უნივერსიტეტმა ორ ეტაპად გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი: SPA140006274, ხელშეკრულება #03-125, 28.03.2014 და SPA140007360, ხელშეკრულება #03-123, 28.03.2014. ტენდერების დაფინანსების წყარო იყო როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი. ორივე ტენდერის საერთო ღირებულებამ შეადგინა **18027** ლარი. აქედან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრანტმა შეადგინა 10810 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ტენდერების ფარგლებში უნივერსიტეტმა შეისყიდა 226 დასახელების 253 ერთეული წიგნი.

2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ შეისყიდა 48702.26 ლარის ღირებულების წიგნები.

1.5. **პრესა** - პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარების წარდგინების საფუძველზე ბიბლიოთეკამ 2014 წელს შპს „საქართველოს ფოსტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამოიწერა 9 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. პრესის შესყიდვის ანგარიშსწორება ხორციელდება ნაწილ-ნაწილ. 2 ტრანშად გადაირიცხა 813.50 ლარის ოდენობის თანხა.

ერთი წლის განმავლობაში პრესის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1000 ლარს.

2. **კოლექციების გამდიდრება** - (ნაჩუქარი საინფორმაციო რესურსი)

2014 წლის განმავლობაში სხვადასხვა დონორისგან ბიბლიოთეკამ **844** ერთეული საინფორმაციო რესურსი მიიღო საჩუქრად.

3. **საუნივერსიტეტო კოლექციის გაჩუქება** -2014 წელს ბიბლიოთეკამ უნივერსიტეტის გამომცემლობის გამოცემებისა და საკუთარ ფონდში არსებული გასაჩუქებელი ეგზემპლარების ხარჯზე გაუწია დონორობა შემდეგ ბიბლიოთეკებსა და ორგანიზაციებს წიგნადი ფონდის გამდიდრებაში:

- „მიუნხენის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ბიბლიოთეკა - 192.65 ლარის ღირებულების 44 ერთეული;
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს საზღვარგარეთ დიასპორული ორგანიზაციებისთვის - 287.39 ლარის ღირებულების 53 ერთეული;
-

4. **კოლექციების ამოღება, შენახვა -სულხან-საბა ორბელიანის დარბაზის ფონდი**
როგორც ყველა ცოცხალი ბიბლიოთეკა, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც ორიენტირებულია ფონდის განახლებასა და განვითარებაზე. ამისთვის აუცილებელია პერიოდულად როგორც ახალი წიგნების შეძენა, ასევე ფონდის გათავისუფლება დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო ან კვლევითი პროცესისთვის შეუსაბამო ლიტერატურისგან.

4.1 2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ორმა თანამშრომელმა იმუშავა სულხან საბა ორბელიანის დარბაზის ფონდის გამოხშირვისა და საინფორმაციო რესურსის ჩამოწერის მიზნით. ჩამოსაწერად მომზადდა **33240** ერთეული ბეჭდური საინფორმაციო რესურსი, მათ შორის პერიოდიკა, ბროშურები და სანოტო გამოცემები.

4.2 2014 წელს გაგრძელდა რარიტეტული ფონდის რესურსის აღწერა შემდგომში მათი ერთ სივრცეში განთავსების, შენახვის, კვლევით საქმიანობაში გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში აღიწერა და დახარისხდა 1420 ერთეული რარიტეტული პერიოდიკა.

5. **რიდერები** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მოთხოვნის შესაბამისად 2014 წლის მანძილზე სხვადასხვა საფეხურის სასწავლო კურსებისთვის დამზადდა შემდეგი რაოდენობის რიდერები:

ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის - 60 კურსის რიდერი

მაგისტრატურის სტუდენტებისთვის - 24 კურსის რიდერი

დოქტორანტურის სტუდენტებისთვის - 3 კურსის რიდერი

რიდერები დამზადდა ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების სახით, რომელთაგან ეს უკანასკნელი განთავსდა ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-სივრცეში (რიდერების ვებ-გვერდზე).

რიდერების საერთო სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 2014 წლის განმავლობაში საერთო ჯამში დამზადდა 87 კურსის რიდერი. თითოეული მათგანი სხვადასხვა რაოდენობით დაიბეჭდა, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 90 ეგზემპლარი. რიდერების უმრავლესობა (53 რიდერი) კი მხოლოდ ელექტრონულად განთავსდა.

რიდერების დასამზადებლად ჯამში გამოყენებულ იქნა 262 მასალა, რომელთაგან 88 ელექტრონული სახით (pdf, word) მოგვაწოდეს, ხოლო 174 - ბეჭდური. სასწავლო მასალებიდან გამოყენებული 24905 გვერდიდან დასკანერდა და დამუშავდა 15550 გვერდი, ხოლო 9355 გვერდი იყო ელექტრონული მასალა. ბეჭდურად დამზადებული რიდერების ფურცლების რაოდენობამ შეადგინა 9115.

რიდერების სრული სტატისტიკისთვის იხ. დანართი N1

ელექტრონული მასალების სტატისტიკა და ბიბლიოთეკის ვებ-სივრცე

ჩვენი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი პრიორიტეტია სერვისების გაუმჯობესების მიზნით ვებ-სივრცეში ცნობადობის გაზრდა და ელექტრონულ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 2014 წლის მანძილზე ილიაუნის ელექტრონულ ბიბლიოთეკას დაემატა შემდეგი სახის ელექტრონული რესურსი:

- ელექტრონული წიგნი - 11 ერთეული
- ელექტრონული ჟურნალი - 3 დასახელების 12 ნომერი
- ელექტრონული გაზეთი - 3 დასახელების 91 ნომერი

ჩვენი ბიბლიოთეკა სოციალური ქსელის საშუალებითაც უწევს მკითხველებს დახმარებას და ინფორმირებას. 2014 წლის 9 დეკემბრის მონაცემებით ჩვენს ფეისბუქ-გვერდს 8700 მოწონება აქვს.

ელექტრონული რესურსები

1. განხორციელებული შესყიდვები

2014 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა წვდომას შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე:

- | | |
|---------------------------------------|---------------------------------------|
| ✓ EBSCO | ✓ Hein Online |
| ✓ JSTOR | ✓ ProQuest |
| ✓ Encyclopaedia Britannica | ✓ IMF Elibrary |
| ✓ Cambridge University Press Journals | ✓ DOAJ |
| ✓ Project Muse | ✓ The New England Journal of Medicine |
| ✓ Oxford University Press Journals | ✓ BioOne |
| ✓ PsycINFO | ✓ Royal Society Journals Collection |
| ✓ Science Direct | ✓ Hinari |
| ✓ Scopus | |
| ✓ Thomson Reuters | |

აღნიშნული რესურსების შეძენისათვის ბიბლიოთეკამ 2014 წლის გაზაფხულზე გააფორმა ხელშეკრულებები: ა) საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რომელიც საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონსორციუმების წევრობის გამო ფლობს ბაზების ლიცენზირების უზრუნველყოფის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოში და

სარგებლობს მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით. ბ) უშუალოდ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მომწოდებლებთან.

მიმდინარე წელსვე, წინმსწრებად გაფორმდა ხელშეკრულებები 2015 წლის წვდომის უფლების მოპოვებისთვის შემდეგი დასახელების ელექტრონული ბაზებისთვის:

- ✓ Project Muse
- ✓ Cambridge University Press
- ✓ JSTOR
- ✓ Encyclopedia Britannica

აღნიშნული ელექტრონული ბაზების ღირებულების ნაწილი დაფარა საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტთან ერთად შექმნილი პროექტის - „საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შექმნა“ ბიუჯეტიდან.

2014 წელს ბიბლიოთეკა აწარმოებდა მოლაპარაკებებსა და მოსამზადებელ სამუშაოებს შემდეგი ელექტრონული ბაზების შესყიდვასთან დაკავშირებით:

- ✓ PsycINFO
- ✓ Science Direct¹
- ✓ Scopus²
- ✓ Springer

Springer-ის გარდა, ყველა ბაზაზე წვდომა უზრუნველყოფილი იყო 2014 წლის გაზაფხულიდან, რასთან დაკავშირებითაც, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება-თარგმნის მიზნით ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობდა უნივერსიტეტის საფინანსო განყოფილებასა და განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურთან.

2014 წლის განმავლობაში, საცდელ რეჟიმში, ჩართული იყო შემდეგი ელექტრონული ბაზები:

- Alexander Street Press Music Online
- Alexander Street Press Engineering Case Studies
- Alexander Street Press Anthropology Online
- Bentham Science Journals
- HeinOnline IFLP

2014 წელს ბიბლიოთეკამ საერთო ჯამში შეიძინა **25 220 ლარისა და 61 217.7³ აშშ დოლარის** ღირებულების სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. დაფინანსების წყაროები:

- ✓ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „საჯარო ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შექმნა“.

¹ **ScienceDirect** - ის შესყიდვა განხორციელდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

² **Scopus** - ის შესყიდვა განხორციელდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

³ 16.370 აშშ დოლარის გადახდა მოხდა 2015 წლის წვდომის უფლების მოპოვებისთვის შემდეგი ბაზებისთვის Encyclopedia Britannica, Jstor, Cambridge University Press, Project Muse.

- ✓ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარის მაკა ლორთქიფანიძის პროექტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი
- ✓ ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ფედერაცია (FEBS)
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი

2. ჩატარებული ტრენინგები

ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული ბაზების შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებისა და აგრეთვე ამ ბაზებში მკითხველისათვის სასურველი მასალის მოძიების უნარების გამომუშავების მიზნით, წლის განმავლობაში ჩატარდა 15 ტრენინგი სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის. ტრენინგის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ ერთი მხრივ მოესმინათ ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ პრაქტიკული სამუშაოს საშუალებით გაცნობოდნენ ელექტრონული რესურსების საძიებო ინსტრუმენტებს.

2014 წელს, პირველად ჩატარდა ტრენინგები საბაკალავრო საფეხურის სავალდებულო საგნის „ კვლევითი მუშაობის ტექნიკები “ მასწავლებლებისთვის. ტრენინგში მონაწილეობის შემდეგ, ყველა მასწავლებელი ინფორმირებული იყო სამეცნიერო ბაზების შესახებ. მათ, თავის მხრივ, სალექციო კურსის ფარგლებში ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის უნდა განეცხადებინათ სამეცნიერო ბაზებში ეფექტურად მუშაობის უნარები.

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო სახის ვორქშოპები, რომლებსაც უშუალოდ ელექტრონული ბაზის რეგიონალური კოორდინატორები და ტრენინგები უძღვებოდნენ:

- ✓ EBSCO - მულტიდისციპლინური სამეცნიერო ბაზა
- ✓ Elsevier-ის მნიშვნელობა აკადემიური პერსონალის კარიერულ განვითარებაში
- ✓ Thomson Reuters – მსოფლიოში აღიარებული საინფორმაციო რესურსები კვლევისა და განვითარებისთვის

3. სტატისტიკური მაჩვენებლები

ელექტრონული ბაზების შესყიდვისათვის ყოველწლიურად დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვისათვის, ბიბლიოთეკა აწარმოებს მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგს. დაკვირვებაზე დაფუძნებული შესყიდვა საშუალებას იძლევა თავიდან ავირიდოთ საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ნაკლებად საჭირო და არააქტუალური ელექტრონული რესურსების შესყიდვა.

სტატისტიკური მონაცემების კონტროლისათვის ბიბლიოთეკას თითოეულ ბაზასთან შეთანხმებით შექმნილი აქვს თავისი ადმინისტრატორის გვერდი, რომლის

საშუალებებითაც ამოწმებს, ერთი მხრივ ბაზის სტატუსს (ჩართულია, გამორთულია თუ შეზღუდულია წვდომა), ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა ყოველთვიურ აქტიურობას. ამის საფუძველზე შემუშავდება მომხმარებელთა წლიური სტატისტიკური მონაცემები და ხდება მათი შედარება წინა წლის მონაცემებთან (*იხ. დანართი 2*).

2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოება ბიბლიოთეკამ უზრუნველყო სხვადასხვა დასახელების 19 სამეცნიერო ელექტრონული ბაზაზე წვდომით. საერთო ჯამში, ელექტრონულ ბაზებზე წვდომისთვის 285 793-ჯერ შესვლა⁴ დაფიქსირდა.

4. საერთაშორისო ურთიერთობები

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და კონსორციუმში შემავალ საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ელექტრონული ბაზების თანადაფინანსებით შესყიდვის კუთხით, სხვადასხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებების ორგანიზების და დაგეგმვის მიზნით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ კონსორციუმის შეხვედრებში მომხსენებლებისა და მონაწილეების სტატუსით.

მიმდინარე წელს, ბიბლიოთეკაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ შემდეგი სამეცნიერო ბაზების წარმომადგენლები: Springer, ProQuest, EBSCO, Elsevier, Thomson Reuters. ისინი ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას, განიხილეს მიმდინარე გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

2014 წლის აგვისტოში, ფონდების მენეჯმენტის განყოფილების თანამშრომელი Erasmus Mundus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ვარშავის ეკონომიკის სკოლის ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა პოლონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პოლონეთის პარლამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიბლიოთეკებში, ჩეხეთის ეროვნულ და პრადის ტექნოლოგიურ ბიბლიოთეკებში. აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო კონტაქტების დამყარება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივ პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობების განხილვა.

⁴ მონაცემები მოიცავს 2014 წლის ოქტომბრის ჩათვლით არსებულ ინფორმაციას, სრული წლის სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება 2015 წლის იანვრის მეორე ნახევარში.

➤ კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება

1. კლასიფიკაცია და კატალოგიზაცია

2014 წლის განმავლობაში კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება (შემდეგში - კვგ) აგრძელებდა სულხან-საბა ორბელიანის საცავის და ილია ჭავჭავაძის დარბაზის ფონდების რეინვენტარიზაციას, რომლის შედეგადაც დიუის ათწილადი კლასიფიკაციის შესაბამისად საკლასიფიკაციო ინდექსი შეეცვალა და ელექტრონულ კატალოგში Evergreen აისახა **13 070** საინფორმაციო ერთეული. მათ შორისაა 500 ერთეულამდე პერიოდული გამოცემა, 90 სასწავლო-სახელმძღვანელო კრებული (რიდერი) და 855 ნაჩუქარი წიგნი. როგორც რეინვენტარიზაციის, ისე შექმნის თუ ჩუქების შემდეგ კატალოგირებული რესურსები პრიორიტეტების და სასწავლო დარგების მიხედვით განაწილდა ლიტერატურის ოთახში, ი. ჭავჭავაძის, სულხან-საბა ორბელიანის, ი. ბერიტაშვილის, ავსტრიულ, საინჟინრო ფაკულტეტისა და კვლევით დარბაზებში. ამასთან, მუდმივად მიმდინარეობს გასული წლების განმავლობაში შექმნილი საკატალოგო ჩანაწერების რედაქტირება და გამდიდრება ახალი სტანდარტების მიხედვით.

ინფორმაციული რესურსების კატალოგიზაციის პროცესების დახვეწისა და საძიებო ინსტრუმენტების სრულყოფის მიზნით განყოფილება აგრძელებს ქართულ და ინგლისურენოვანი საგნობრივი რუბრიკატორების განვითარებას და მათ ასახვას საკატალოგო ჩანაწერებში. ამავე მიზნით განყოფილება მაქსიმალურად ცდილობს, შექმნას თითოეული საინფორმაციო რესურსის სარჩევი.

2014 წელს გრძელდებოდა რესურსების აღწერისა და წვდომის (RDA) სტანდარტის განხილვა და დანერგვა სხვადასხვა ტიპის მედიების კატალოგირებისათვის. ამასთან, განახლდა სანოტო ჩანაწერების კატალოგირების პროცესიც.

2. **საინვენტარო ჟურნალების ელექტრონიზაცია** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების საინვენტარო ჟურნალების ელექტრონიზაციის პროექტი უწყვეტად მუშაობს 2014 წლის განმავლობაში.

ამ დროისათვის მიმდინარეობს ი. გოგებაშვილის და ფილოსოფიის ინსტიტუტის საინვენტარო ჟურნალების გაციფრება.

3. **თანამშრომელთა კომპეტენციების ამაღლების ხელშეწყობა** - 2014 წელს შემუშავდა კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილების გზამკვლევი,

რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა კვგ-ს თანამშრომლებისთვის. იგი ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის სტანდარტის სამუშაო ვერსიას და მასში განხილულია განყოფილების ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ასპექტები: საინფორმაციო რესურსების კატალოგირება, მათი კლასიფიკაცია და საბიბლიოთეკო სივრცეში განლაგება. გაიდლაინის მიზანია, დაეხმაროს კვგ თანამშრომლებს ბიბლიოთეკაში ახლადშემოსული თუ უკვე არსებული საინფორმაციო რესურსების კლასიფიცირებაში, გაუადვილოს კატალოგირებისა და ტექნიკური დამუშავების პროცესების ეფექტურად და ხარისხიანად წარმართვა, რაც, თავის მხრივ, მომხმარებელზე ორიენტირებული ბიბლიოთეკის გამართულ ფუნქციონირებას განაპირობებს. გზამკვლევის წარდგენის პარალელურად ჩატარდა თანამშრომელთა ტრენინგი სიახლეების დანერგვისა და მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ბიბლიოთეკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, კატალოგიზაციისა და კლასიფიკაციის განყოფილება მონაწილეობდა დარბაზების მიგრაციისა და რელოკაციის პროცესებში.

➤ „ლიგამუსი“

2014 წლის ივნისიდან წიგნის მალაზია ბიბლიოთეკის განყოფილება - წიგნის სახლი „ლიგამუსი“ გახდა. სექტემბრის თვიდან განახლებული „ლიგამუსი“ აქტიურად შეუდგა საქმიანობას. წარმოგიდგინთ 2014 წლის სექტემბრიდან „ლიგამუსში“ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალს:

პროექტის „ილიაუნის მწერალი - ლევან ბერძენიშვილი“ ფარგლებში გაიმართა 9 შეხვედრა:

1. პროექტის პრეზენტაცია (15 სექტემბერი)
2. „მხატვრული წერის დასაწყისი – გილგამეშის ეპოსი“ (13 ოქტომბერი)
3. „ილიადა“- პირველი მიახლოება" (27 ოქტომბერი)
4. „ილიადა“- მეორე მიახლოება" (3 ნოემბერი)
5. ჰომეროსის "ოდისეა" - "უკვდავებიდან მოკვდავობამდე - გზა შინისაკენ" (10 ნოემბერი)
6. "დაო დე ძინი - გზა და ღირსება" (17 ნოემბერი)
7. „ოიდიპოსი: მითი, ტრაგედია, კომპლექსი“ (24 ნოემბერი)
8. "ანტიგონე: თავგანწირვა" (1 დეკემბერი)
9. „მედია: გრძნეული, ურჩხული, პარადიგმა“ (8 დეკემბერი)

ლიტერატურული კლუბის ფარგლებში გაიმართა 8 შეხვედრა:

1. შეხვედრაზე ილიას უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ლადარიასთან, რომელმაც რუსი მწერლის ვლადიმირ სოროკინის შესახებ ისაუბრა (9 ოქტომბერი)
2. 2014 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი - პატრიკ მოდიანო. მომხსენებელი - ირმა ტაველიძე (16 ოქტომბერი)
3. ენდრიუ კაუფმანი - „ყველა ჩემი მეგობარი სუპერგმირია“ - პრეზენტაცია (23 ოქტომბერი)
4. თამარ ალფენიძე ორჰან ფამუქის "შავი წიგნის" შესახებ (6 ნოემბერი)
5. "ღმერთი. ფიოდორ დოსტოევსკის კომმარი" - გიორგი მაისურაძის მოხსენება (13 ნოემბერი)
6. გურამ რჩეულიშვილი - 80 (20 ნოემბერი)
7. ტერენტი გრანელი - 117 (27 ნოემბერი)
8. ბრძოლა, როგორც არჩევანი - "ღიმილის მტვერი". მომხსენებელი - ეკა ქევანიშვილი (7 დეკემბერი)

სტუდენტური პროექტის Sapere Aude-ს ფარგლებში გაიმართა 7 შეხვედრა:

1. „პოსტმოდერნული მდგომარეობიდან ხდომილებასთან მიბრუნებამდე“ - გიორგი ხარიბეგაშვილის მოხსენება (28 ოქტომბერი)
2. „ოქროს საწმისის მითი, როგორც სექსუალური ენერჯის ტრანსფორმაციის რუკა“ - დავით ჩიხლაძის მოხსენება (4 ნოემბერი)
3. „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ - თეონა გოგუაძის მოხსენება (11 ნოემბერი)
4. კოკა ბრეგაძის ლექცია „ფრიდრიხ ნიცშე და თანამედროვეობა“ (18 ნოემბერი)
5. „ძალადობა ქალზე თუ უბრალოდ ძალადობა? რატომაა აუცილებელი გენდერული სპეციფიკური ხედვა“ - მომხსენებელი თამარ ცხადაძე. (25 ნოემბერი)
6. „ჰომოფობია და სიმულვილის ენა პოლიტიკურ დისკურსში“ - ეკატერინე ადგომელაშვილი (2 დეკემბერი)
7. თამარ ცხადაძემ წარადგინა საულ კრიპკეს წიგნი - „სახელდება და აუცილებლობა“ (Saul Kripke, Naming and Necessity) (9 დეკემბერი)

შეხვედრების სერიის - „ფსიქოანალიზი საუნივერსიტეტო სივრცეში“ - ფარგლებში გაიმართა შეხვედრები:

1. “აუტიზმი - ორი მიდგომა ერთი რეალობისადმი“ (29 ოქტომბერი)
2. „ფსიქოანალიზი, ფსიქოთერაპია და მედიცინა“- გიგა მამინაშვილი. (13 ნოემბერი)

3. გიორგი მაისურაძის საჯარო ლექცია - „ზიგმუნდ ფროიდის ეგვიპტური ფანტაზია. ლიტერატურული ფიქცია, როგორც ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციის მეთოდი“. (3 დეკემბერი)

შეხვედრების სერია - გენდერული განსხვავებები და თანასწორობა

1. პროექტის პრეზენტაცია (31 ოქტომბერი)
2. რუსუდან მირცხულავას საჯარო ლექცია თემაზე - „აგრესია“ (7 ნოემბერი)
3. „გენდერული სტატისტიკა სტერეოტიპების წინააღმდეგ“ (15 ნოემბერი)
4. ნინო ჯავახიშვილის საჯარო ლექცია თემაზე - „ოჯახში ძალადობა: კვლევებზე დაყრდნობილი ფაქტები და მასთან ბრძოლის პრაქტიკები“. (21 ნოემბერი)
5. ხათუნა ივანიშვილის საჯარო ლექცია თემაზე - „აგრესია და დესტრუქცია - ფსიქოანალიტიკური ხედვა“. (28 ნოემბერი)
6. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და ბრიტანეთის საბჭომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამართა დისკუსია თემაზე - „ქალთა მიმართ ძალადობა“. (5 დეკემბერი)

პოეზიის კლუბი:

1. ერეკლე დეისაძე სტუმრად პოეზიის კლუბში (20 ნოემბერი)
2. შოთა იათაშვილი სტუმრად პოეზიის კლუბში (4 დეკემბერი)

საბავშვო ოთახი

ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღე "ლიგამუსის" ზღაპრის ოთახში (15 ნოემბერი)

გარდა ამისა გაიმართა ღონისძიებები:

1. ილიაუნის მწერალი - ქეთი დევდარიანი - პროექტის პრეზენტაცია (18 სექტემბერი)
2. 26-28 სექტემბერს ვაკის პარკში ილიაუნის გამომცემლობისა და ბიბლიოთეკის წიგნები წარმოდგენილ იყო ვაკის პარკში ევროკავშირის კულტურის დღეების ფარგლებში.
3. ბექა ადამაშვილის „ბესტსელერის“ პრეზენტაცია (2 ოქტომბერი)
4. ირაკლის ჩარკვიანის „მშვიდი ცურვა“ (პრეზენტაცია) (10 ოქტომბერი)
5. სოსო ჭაუჭიძის, საჯარო ლექცია: „რევოლუციის კონსტრუქტორები: რუსული კონსტრუქტივიზმი ლაბორატორიასა და ქარხანას შორის“. (19 ნოემბერი)
6. გიორგი მაისურაძის საჯარო ლექცია „სტალინის ორი სხეული. საბჭოთა პოლიტიკური თეოლოგიის“ ერთი ასპექტი“ (5 ნოემბერი)
7. საჯარო ლექცია თემაზე - „იურიდიული ეთიკა (19 ნოემბერი)

8. პროფესორ გოგი გვახარიას ლექცია: „პავლიკ მოროზოვის ლეგენდა და “ბეჟას მდელი“ (26 ნოემბერი)
 9. შეხვედრა ScienceDirect-ის წარმომადგენლებთან (16 ოქტომბერი)
 10. ევროკავშირის პროექტის "სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში" მხარდაჭერით, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციამ სამართლებრივი საკითხების გაშუქების თემაზე 20 წამყვან ქართველ ჟურნალისტს ტრენინგი ჩაუტარა. (25 ნოემბერი)
 11. კონკურსის „გამოიცანი წიგნის დასაწყისი“ გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები. (17 ნოემბერი)
-